ხელშეკრულება № 64
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. ამბროლაური 12 ოქტომბერი 2016 წელი

ერთის მხრივ, სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (ამბროლაურის, ლენტეხის, ონის, ცაგერის მუნიციპალიტეტებსა და ქ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში) წარმოდგენილი სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ზურაბ მარგველიძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, შპს „მწვანე ლიმონი" (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი დირექტორის არჩილ ჭიჭინაძის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს' ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით , ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციის შენობის გარე აბრისა და სამუშაო ოთახისათვის აბრის შესყიდვა დანართი N 1-ისა და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. (CPV კოდი 44400000 )

1.2 დანართი N1 წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 138 (ასოცდათვრამეტი) ლარს.

2.2 ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს;

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 დღე.

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, ტაბიძის ქ. N 24.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი შესაბამისობაში იქნება მოქმედ ნორმებთან და სტანდარტებთან.

5. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

**5.1 მიმწოდებელი უფლებამოსილია:**

5.1.1 მოითხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

**5.2 შემსყიდველი უფლებამოსილია:**

5.2.1 შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხი და რაიმე დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში მოითხოვოს მისი აღმოფხვრა.

**5.3 მიმწოდებელი ვალდებულია :**

5.3.1 უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულება.

**5.4 შემსყიდველი ვალდებულია:**

5.4.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის ინსპექტირებას განახორციელებს სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის აპარატის უფროსი.

7. მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად საგადასახადო ანგარიშფაქტურისა და მიღება ჩაბარების აქტის საფუძველზე.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში.

8.1.1 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში;

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.
9.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, მხარეები იტოვებენ უფლებას შეწყვიტონ ხელშეკრულება და მოსთხოვონ მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
9.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

### 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

### 11. დავების გადაწყვეტა

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.
11.2 თუ ასეთი მოლაპარაკებისას მხარეები ვერ შეძლებენ საქმის საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

### 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 1 დეკემბრამდე.

### 13. სხვა პირობები

13.1 ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო 2 – შემსყიდველს.

### 14. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:
სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია
(ამბროლაურის, ლენტეხის, ონის, ცაგერის მუნიციპალიტეტებსა და
ქ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში); ქ. ამბროლაური, ბრატისლავა-რაჭის ქ. N11
სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE22
ა/ა GE24NB0330100200165022; ს/კ 222938007

რწმუნებული - გუბერნატორი არმენ მარგველიძე

მიმწოდებელი:
შპს „მწვანე ლიმონი" ქ. თბილისი, ნ. ტიხონოვის ქ. N 24
საბანკო რეკვიზიტები: ბანკი „თიბისი ბანკი" კოდი TBCBGE22
ა/ა GE46TB7767136080100002; ს/კოდი 400087008

დირექტორი არჩილ ჭიჭინაძე

ხელშეკრულება N 64-ის დანართი N 1

| N | CPV კოდი | საქონელი | განზ. | რაოდენობა | ფასი | სულ თანხა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 44400000 | აბრა 30X20 | ცალი | 1 | 18.00 | 18.00 |
| 2 | 44400000 | გარე აბრა 90X60 | ცალი | 1 | 120.00 | 120.00 |
| | სულ ჯამი | | | | | 138.00 |

შემსყიდველი:
რწმუნებულის გუბერნატორის ადმინისტრაცია
ს/კოდი 222908007

სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი პაატა მარგველაშვილი

მიმწოდებელი:

შპს „მწვანე ლიმონი"
ს/კოდი 400087008

დირექტორი არჩილ ჭიჭინაძე